სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/213

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2023წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ტუტორინგის და მენტორინგის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ხემძღვანლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 22 დეკემბრის №01-05-02/34 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი **„ტუტორინგის და მენტორინგის ცენტრი“** და დამტკიცდეს მისი დებულება (დანართი);

2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს სტუ-ის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ხემძღვანელი თეა მურვანიძე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**